

**იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ.
სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აფხაზეთისავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის
2015 წლის ანგარიში**

საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიაფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა საქმიანობას ახორციელებდა საქართველოსა და აფხაზეთისკანონმდებლობის საფუძველზე, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად.

იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2015 წლის პერიოდში ანგარიშს:

ა) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 178 (ას სამოცდათვრამეტი) განცხადება, საჯარო ინფორმაციის შესწორების შეტანის მოთხოვნით - 0;

ბ) დადებითი პასუხით დაკმაყოფილდა 178 (ას სამოცდათვრამეტი) ხოლო უარყოფითი პასუხით - 0 მოთხოვნა;

გ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას გააჩნია მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს, აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პერსონალურმონაცემთა ბაზა და მასზე წვდომა გააჩნიათ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს მათი კომპეტენციის ფარგლებში;

დ) საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობის თანამშრომლებს არ დაურღვევიათ ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მოთხოვნები. შესაბამისად არ მომხდარა დისციპლინური სახდელის დადება ;

ე) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას არ განუცხადებია უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;

ვ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობამ საჯარო ინფორმაცია გასცა უსასყიდლოდ.

**იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვ. სვანეთის
რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი**

ზაზა ჩაჩავა